მცირე წლოვანთათვის

შინაარსი:

1. გოგიას ჩივილი 587
2. ლექსოს სამწყემსო 589
3. დამწყვდეული მერცხალი . . . 599
4. ძაღლის სიცრუე 601
5. გულადი კურდღელი. 603
6. სახალისო სამუშაო და გასართობი:—ა) შარადა.—ბ) გამოცანები.—გ) სახუმარო ამოცანები.—დ) უჯრების ამოცანა.—ე) ახსნა . 609

№ XXI

სექტემბერი

ს.ს.ს.ი. თვილოს სახელმწიფო
* ბიბლიოთეკა *
თბილისი

1905

ტფილისი
ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა
1905

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 сентября 1905 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოგიას ცივილი

რას დაღვრემილხარ, გოგიავ,
რა გაქვს დასაღონები?
სარჩო ბევრი გაქვს, სოფელში
ვერა გჯობიან სწორები;
ცხვარი და ძროხა ბევრი გყავს,
თავზე გადგანან ბიჭები,
გუთნეულს მარტო შეაბამ,
არავის დაელრიჯები.
— აბა რას ამბობ, სესიავ,
რატო არ დაუფიქრდები?
ეოველი მდიდარი კაცი,
რად გგონავთ ბედნიერები?
რა ჭირად მინდა ქონება,
გუთანი, გინა ხარები,
ვის უნდა დარჩეს ოხრადა,
მიწას რო მივებარები?
თუმც ღარიბი ხარ, არა გაქვს,
წნურისა გიდგას ქოხია,
მაგრამ შენ ბედნიერი ხარ,
ვიდრე მე—შემძლე გოგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მოუჯდები კერასა,
შამოგეხვევა შვილები,
რომელი სარჩო სჯობია,
სარები ანუ ფულები!...

მე კი უშვილო, ძეხმელი,
მარტოკა დავიღუღები,
მოვკვდები, სარჩოც გაქრება,
არავისც მოვაგონდები.

გ. გელოვანი.

ემეტრეს სახლის ეზოში ღვინით სავსე ტიკები ეწყო. ეს-ეს იყო გაათავეს ღვინის ამოღება კარაპეტამ და დემეტრემ. ფულის სარგებელში დემეტრემ კარაპეტას ღვინო მიუწყო. მიკიტანი ეხლა მხოლოდ სადილს-და ელოდებოდა; ურემიც იქვე მზად იდგა, დაუდებდა ტიკებს და წაიღებდა. აივნის დირეზე იჯდა, კრიალოსანს აწკრიალებდა; ხოლო დემეტრეს ნაჯახი ეჭირა ხელში და ღია სახლის კარებში შეიცქირებოდა.

— რა დაგემართა, სადა სარ აქამდის, ადამიანო? სთქვა მან: აქამდის კამეჩს დავკლავდი და გავატყავებდი, შენ ერთი ვარია ვერ დაგიჭერია? ჩქარა, მორჩი!

— ეხლავე, მოიცა პატარა ხანი, საკენკი დავუყარე. მოისმა შიგნიდან ხმა და თანაც კარები მოიხურა. სახლში ქათმები დაწიოკდა. ცოტა ხანს შემდეგ სახლის კარები ისევ გაიღო; გამოჩნდა დემეტრეს ცოლი მაგდანა, ხელში მოზრდილი ვარია ეჭირა, რომელიც საცოდავად ეკივლოდა და ჭყეოდა, თითქოს ჰგრძნობდა თავის მომავალს. ჩამოართვა-რა ვარიკა დემეტრემ ცოლსა, გაემართა ახლო მდებარე კუნძისაკენ რომ იმაზე დაეკლა ქათამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ტაბაკად კარგი იქნება, ხელად იქნება!.. ამბობდა ხრინწიანი ხმით კარაპეტა.

— როგორც გესიამოვნება. მიუგო დემეტრემ: — თუნდა ჩიხირთმად გავაკეთოთ.

— არა, გვიან იქნება... ტაბაკა სჯობია, სთქვა კვალად კარაპეტამ და თან სიტყვას რამდენიმე მსხვილი ნერწყვი ჩააყოლა.

საითაც იყო და არ იყო, ჯერ ვარიისთვის დემეტრეს თავი არ მოეჭრა რომ მამის ახლო მისი შვიდი წლის ლექსო გაჩნდა. დაინახა-რა დასაკლავად გამზადებული ვარიკა, მორთო საშინელი ყვირილ-ტირილი: „ნუ, მამი, ნუ შენ გენაცვალე. ნუ, ჩემს ნაცარას. ვაჭმე, დედავ, დედიჯან, მოვკვდი!“ ჭყვიროდა ლექსო იგლეჯდა თმას და იკაწრიდა პირისახეს. ეტანებოდა მამას ხელებში და არ ანებებდა ვარიას დასაკლავად.

— დასწყელა ღმერთმა! რამოგივიდა, ბიჭო, რა არი მომეცა იქით, ქათამი დავკლა?!. ამბობდა გაჯავრებული დემეტრე.

ლექსო თან და თან უმატებდა ყვირილს და ტირილს შვილ-მომკვდარ დედასავით გაჭკიოდა. „ნუ ნაცარას, შენი ჭირიმე, მამი! მეც მოვკვდები თუ მაგას დაჭკლავ! მიშველე, დედი, ნაცარას ჭკლავს მამაი.

— ავაზაკია, ნამდვილი ავაზაკია! რა უნდა ჭქნას კაცმა, ვერ უეურებ ამასა? სთქა დემეტრემ.

— ბავშვია, რა ეურს უგდებ? სთქვა კარაპეტამ: ეს ლექ-ტირის, თორემ როცა მოხრაკულ მაგის ხორცს დაინახავს კარგათ გიახლებათ, იქნება სჯამდეს და თანაც დამღეროს.

— „შენი ბრალია კიდეც... შენთვის ჭკლამენ კიდეც ჩემ ნაცარას. სთქვა ლექსომ და არა სასიამოვნო ლექსით მოი-ხსენია კარაპეტა.

— ვერ უეურებ მაგ ლაწირაკს სთქვა კარაპეტამ და თანაც უსიამოვნოდ გაიღიმა.

— სუ, ჩუმად, ბიჭო, რას მიჭქარავ? სთქა დემეტრემ და თან ეუით ნაჯახი მოუღერა: — ემანდ ხმა გაიკმინდე თორემ მე გაჩვენებ შენ სეირსა, შე არამსადავ; რა ვაჭამოთ, ბიჭო, მაშ სტუმარსა? მითხარი, შენ მითხარი რომელი დავკლა, ქო-ჩორა? ღაბუა დედალი? [დაეკითხა დემეტრე თავის შვილს. ამ კითხვაზე ლექსო უფრო უმატებდა ტირილს.

— მაშ მამლა-ეინწას დავკლავ? სთქვა კვალად დემეტრემ.

— არა, არა, წარმოსთქვა ლექსომ უფრო მაღალის ხმით, გადაიქცა გულაღმა, ტიროდა, ეკვირდა, იქნევდა ფეხებს, იშენდა თავში მუშტებს: „ვაჭმე, მამლა-ეინწავ, ჩემო მამლა-ეინწავ, ვეღარ იეიელებ!“ გაჭკიოდა ლექსო.

— კარგი დაანებე თავი. წადი, კაცო, ერთ ვარიას თებ-როს დაესესხე, მერე მივცეთ. თუ კი არა შვრება რა უეოთ მაშ? სთქვა მაგდანამ და თან დაუწეო ეენება ლექსოს: — „ადექი, ადექი, შე ფინთო, შენა. ადე, წამო შინ, აღარ დაჭკლავს მამა, აღარ, ნუ გეშინიან, ნუ სტირი! ეუბნებოდა დედა შვილსა, დემეტრე ხან ცოლს შესცქეროდა გაფითრებული, ხან კარაპეტას რომ-ლიც იქვე შორი-ახლოს იდგა ხელში კრიალოსნით და სახის გამომეტეველებით უკმაეოფილებას აცხადებდა.

დემეტრემ ბევრი ეოემანისა და ტორტმანის შემდეგ მიჭმართა მეზობელს და იქიდან გაიმართა ხელი. ლექსო კერის ჰირას იჯდა, ცრემლიან თვალებს იფშვნეტდა და თანაც შმიკშმიკებდა, ჯერ კიდევ ვერ მოეოხებინა გული ტირილით...

ზედადგარზე ჩალსანა ქვაბი დუღდა. ცოტა ხანს შემდეგ დემეტრემ ზღუბლიდამ თავის დედაკაცს თავ-მოჭრილი დედალი გადმოუგდო და მერე ქათმის თავიც მოაყოლა. მაგდანა დედლის ფურცქვას შეუდგა. ლექსომ დედალს თვალი გადაავლო და რა სცნო რომ შინაური არ იყო ცოტა გული დაიმშვიდა.

დიდ ხანს არ გაუვლია რო დემეტრე და კარაპეტა კერის პირას ისხდნენ, წინ ხონჩით პური ედგათ, ქაშანაურის თეფშზე ცივად დანივრული დედალი. გვერდით სველი ხელადა ღვინით. სადღეგრძელო სადღეგრძელოს მოსდევდა. კარაპეტა დემეტრეს ვაზებს უდღეგძელებდა, დემეტრე კიდევ „ჩოთქსა“ და „ალებ-მიცემას;“ ლექსოს აინ-ოინები აღარ ახსოვდათ.

ხოლო ლექსოს გულში ღრმათ ჩარჩა დღევანდელი სურათი და ამის გამო ფიქრებში წავიდა: „რამდენიც ვინმე მოვიდეს, სტუმრად, რომ მამა-ჩემმა მოინდომოს ქათმის დაკვლა, ხომ ერთიც აღარ დარჩება?!. იქნება იმ დროს შინ არ ვიყო. მოვიდე და აღარსად ჩემი ნაცარა, აღარც ქოჩორა, აღარც ღაბუა, აღარც მამლაყინწა?!. ოჰ, უბედურობა იქნება დიდი ჩემს თავზე!“ ამბობდა ლექსო თავისთვის. მერე რამდენი ამაგი აქვს ლექსოს ამ ქათმებზე? დედას არ ექნება იმდენი შრომა შვილებზე გაწეული. სულ ხელზე გოგმანით დაზარდა. ხელის გულზედ საკენკს აკენკებდა, თვალებს და ნისკარტს უკოცნიდა... აფსუს ლექსოს ქათმებო. ვიღაც-ვიღაცების გულისათვის დემეტრემ უნდა თავები გააურეინოს. ვითომ არაფერი, რაღა?!.

II

ლექსოს ერთმა ფიქრმა გაუელვა თავში. ადგა და მაშინვე გარეთ გავიდა. „კარგი მოვიგონე, ძალიან კარგი!“ ამბობდა ლექსო თავისთვის: „იქ ვერავინაც ვერ მიაგნებს, კარგად იქნებიან ჩემი ჯუჯულები, აქედან მუდამ დღე საკენკს უზიდავ, არასფერიც არ უშავთ.“ სად იქ უნდა გადაესახლა ქათმები ლექსოს, როგორ

გგონიათ?—ხევ გაღმა საბძელ-კალო და გომური აქვს. დამეტ-
რეს, სწორედ იმ გომურში აპირებდა ლექსო ქათმების დაბა-
ნაკებას, რადგან გომური ცარიელი იყო... ლექსო უკვე ქათ-
მების ჭერას შეუდგა, ღმერთმანი გაუჭირდებოდა იმათი დაჭერა;
ერთს თავისებურად დაუძახებდა „სკუპო“ და ქათამი მაშინვე
დაეუნთდებოდა. „ქოჩორ, სკუპ! ნაცარ, სკუპ! მაძლა-ეინწავ,
სკუპ!“ მორჩა და გათავდა. მაგრამ ოთხივეს ხომ ერთად ვერ
წაასხამდა, ამიტომ ჯერ ნაცარა და ღაბუა დაიჭირა, ამოიჩარა
ღლიაში და გაექანა გომურისაკენ; შეაღო გომურის კარები. სად
დასხას ქათმები, რო ქანდარა არსადა სჩანს. ამან ცოტად შეა-
ფიქრიანა, მაგრამ მალე ღმერთმა უშველა: იქვე ჰირ მოტეხი-
ლი ნიჩაბი იპოვნა, ბოსლის ერთს კუთხეში გარდი-გარდმო
გასდო და ზედ დაასკუპა ნაცარა და ღაბუა: „აქ იუავით, გე-
ნაცვალე, ცოტა ხანს აქ მომიცადეთ; არ დავიგვიანებ, ეხლავე
აქ გიახლებით.“ ვარიკებმა გვერდზე მოიღრიცეს კისრები,
ლექსოს ცალის თვალით გადმოჭხედეს და თანხმობის ნიშნად
„კრრრი“-ობით უპასუხეს. „ხმა არ ამოიღოთ, არ ჩამოხვი-
დეთ გესმისთ, თუ არა?“ განუმეორა ალექსიმ. ჰასუხად იგივე
„კრრრ“ მოესმა. ვითომ დიაღ, დიაღ, სწორედ ეგრე მოვი-
ქცევითო.—კარგად გვესმის რასაც გვიბრძანებთო. ლექსო ისევ
შინისკენ გამოქანდა. გომურის კარები თან გამოუხურა. მო-
რბინა სახლის კარებზე. ცოტახანს ეური დაუგდო გარედან,
კარები დაკეტილი იყო. სახლიდან მხიარულობის ხმა მოის-
მოდა. კარაპეტა უკვე „ძრავალ ჟამიერს“ დასძახოდა, დემეტრე
ლექსოს მამა, ბანს აძლევდა ჯერ-ჯერობით, მაგრამ ბოლოს
და ბოლოს კარაპეტას აღარ აცლიდა და თითონ უფრო მაღა-
ლი ხმითა ეკვიროდა: „ძრავა ჟამიერ! ძრავა ჟამიერ!“ მაგდანა
დიასახლისობდა, თავზე დასტრიალებდა ქმარსა და სტუმარსა.

— დედაკაცო, ჩვენ ხომ აღა კარაპეტასთვის ტაბაკა უნდა
მიგვერთმია. ეს როგორ მოგვივიდა საქმე? მოდი, ერთი ტაბაკა

მოგვიხერხე. ი ჩვენი ლექსოც გოგო-ბიჭებში იქნება გარეულები; ი ხომ ხელს ვეღარ შეგვიშლის? ეუბნებოდა ცოლს ღვინისაგან გაბრუჟული დემეტრე.

დედის ჰასუსი ვეღარ გაიგონა ლექსომ, ხოლო მამის სიტყვების გაგონებაზე ჟრუანტელმა თავში დაჰკრა და ფეხებში გაურბინა. „ვაჭმეო“, წარმოსთქვა: „კიდე დაკვლას უპირობს მამაი!“ სთქვა რა ეს ლექსომ სწრაფად ბაღჩაში შევარდა. ქოჩორა და მამლაეინწა ღობის ძირას იეკნენ; მამალი ჰქექავდა ფეხებით ნაგავს და თან ქოჩორას ურუკრუკებდა, საუზმეზე ეპატიჟებოდა: მიირთვი, მიირთვი, ჩემო კარგო!

ლექსოს ქათმები არ დაუფთხნენ. „სკუპ, მამლაეინწავ! და სკუპ, ქოჩორავ, დაუძახა ნელის ხმით ლექსომ, თან აქეთ-იქით იხედებოდა დედამ ან მამამ არ დამინახოსო. ხელად ორივე დაიჭირა, ამოიჩარა ისანიც იღლიაში და მოუძგა თავ-გადაგლეჯილი გომურისაკენ. „სუთ, ჩუთ, ხმა არ ამოიღოთ, თან ქოჩორასა და მამაეულინწას ჩაელაპარაკებოდა, თორემ კაი დღე არ დაგადგებათო.“ ქათმებიც, თითქოს ესმოდათ ლექსოს დარიგება, ხმას როდი იღებდნენ...

მალე ლექსო უკვე გომურში იყო. მიჭმართა მის მიერ სახელდახელოდ გაკეთებულს ქანდარას. ლექსოს ელდა ეცა: მისი ღაბუა და ნაცარა აღარსად იეკნენ. „ვაჭმე!“ წაიდუდუნა ლექსომ გულ-დაკოდილმა. სწორედ ამ დროს შორი-ახლოდან მოესმა: „კრრრ!“ ლექსომ მიირბინა იქ, საითაც ხმა მოესმა და დაინახა, მისი ღაბუა და ნაცარა, ბაგაში ფუტკულაობდნენ, ძველს, დარჩენილს ბზეში მარცვლებს ეძებდნენ და როგორც ეტყობოდათ ძალიან კმაყოფილები იეკნენ თავიანთ ახალი ბინით.

ლექსომ საჩქაროდ მამლაეინწა და ქოჩორა შესვა ახალ ქანდარაზე და უთხრა ბძანების კილოთი: „აქ იყავით, არ გაინძრეთ, თორემ, ვაი თქვენს ტყავსო!

შემდეგ ღაბუა და ნაცარას დაუწყო წურთნა: „თქვე ეაჩაღებო, თქვენა მე არ გიბრძანეთ არ ჩამოსულიეათ ქანდარიდან,

როგორ გაბედეთ ჩამოსვლა, ჰა? სთქვა ეს ლექსომ და ბერ-
ნაცარას ჩაარტყა თავში ოდნავ წკიპურტი. ნაცარამ ამოლოდ
ერთი „ჭუუუ“ წარმოსთქვა და უკმაყოფილოდ შეჰხედა ლექსოს:
ნეტავი, არ გვაწუხებდე, ჩვენ ძალიან კარგადა ვართ, არაფერი
გვიჭირს, ქანდარაზე რა უნდა ვაკეთოთ, რაცა აქ ბაგაში თითო-
ოროლა მარცვალს მაინცა ვპოულობთო?!

ლექსომ ამნაირადვე დასაჯა ღაბუა. მაგრამ არც ეს დარ-
ჩა ამ სასჯელით კმაყოფილი. წკიპურტის ჩარტყმაზე ღაბუამ „უჰ,“
დაიძახა, მაგრამ, რადგანაც მეტს სასჯელს არ მოელოდა ლექსო-
საგან, არცკი გაინძრა და არ ეცადა ხელიდან გაშვებოდა.
ნაცარასა და ღაბუას ეს სასჯელი სიცილადაც არა ჰყოფნიდათ.

ლექსო მაინც თავისას არ იშლიდა. ოთხივე ქათამი ქან-
დარაზე გაამწკრივა, თავში მამალი დასო, იმის გვერდით ნა-
ცარა მოუსვა, შემდეგ ღაბუა და სულ ბოლოს ქოჩორა.

„ემაგრე იყავით, არ ჩამოხვიდეთ მინამ მე არ მოვალ და
საკენკს არ მოგიტანთ, თორემ არ ვიცი თუ რას გიზამთ!
ეუბნებოდა ლექსო და თან თითს უქნევდა, რამდენჯერმე გაუარ-
გამოუარა თავის საწყემსოს წინ: „თქვე უუუხებო, არ იცით,
რომ მე თქვენთვის კარგი მინდა? იცით რა უბედურე-
ბას გადაგარჩი-
ნეთ?! შენ, ეი, მამ-
ლაეინწავ, აქ ეი-
ვილს არ მოჰყვე
თორემ იცოდე, ჯი-
ჯლიბოს მოგაჭრი
და წვერებსაც მო-
გაკრეჭ. გესმისთ
მოითმინეთ აქა, ეგ-
რე ჭკვიანად, დინ-
ჯად იყავით!

„კრა, კრა,
კრა�ა!“ გაისმა რამდენიმე ხმა, თანხმობის თუ უსია-

მოვნების ნიშნად, ღმერთმა უწყის, ხოლო ვარიკვეში ბაბალ ხმაზე კუტკუტებდენ; თან თავის უფროს მამლა ეინწას შესჩერებოდნენ ხან ლექსოს აკვირდებოდენ.

„მშვიდობით იყავით, ჩემო კარგებო, მე მალე გნახავთ. ბლომად საკენკს მოგიტანთ. ჭკვიანად იყავით, გარეთ არ გამოხვიდეთ, დაბლა არ ჩამოხვიდეთ, თორემ, იცოდეთ ტყეში გაგრეკავთ. აღარც საკენკს დაგიურიო. შენ, ეი, მამლაეინწავ, ქათმებს არ გაუძღვე კიდე და გარეთ არ გამოჭრეკო, თორემ ცუდად იქნება შენი საქმე! ბასუხად ქათმების მიერ ლექსოს მოესმა: „კრრრი,“ „კრაა“ და „კრუშ.“ ლექსომ შინისკენ გამოსწია და სწორედ იმ დროს გაჩნდა თავის სახლის ეზოში, რომ კარაბეტას და დემეტრეს ქეიფი უკვე გაეთავებინათ... ღვინიანი ტიკები ურემზე ეწყო, ტურებივით ეურებ დაცქვეტილები. ურმის კოფოზე მისი ძია სესელა ეჯდა. კამეჩები გველებივით კუდებს იკლაკნიდენ, ჭვრმნობდენ სესელა მალე გაუჯავრდებოდა იმათ წასასვლელად; კარაბეტა, ლურჯს ხალებიან ცხენზე იჯდა და აქეთ-იქით ერეოდა. მის მამას დემეტრეს, ქუდ მოხდილს, წინდების ამარას, კარაბეტას ცხენის ჯილაგი ეჭირა, წინ-დაუკან ერეოდა, შთაგონებით რაღაცას ელაბარაკებოდა, ცდილობდა სიმთვრალე არ შესტეობოდა, თვალებს ზარმაცად ახელდა და ჭხუჭავდა. ურემი დაიძრა. ტბიეო! გაისმა ბესელას ხმა და ზედაც დაერთო შოლტის ტელაშუნი.

— მშვიდობით, დემეტრე!... მშვიდობით, ნათლიდედ! გაისმა კარაბეტას სრინწიანი ხმაც.

მშვიდობით შრმანდებოდეთ! — მიჭვევა მხედარს და მის ცხენს კვალდაკვალ ცოლ-ქმარის მიმახილი.

ურემი დინჯად მიჭრიალებდა, კამეჩებიც დინჯად მიაბოტებდნენ. ურმის უკან კარაბეტა მიაგოგმანებდა თავის ლურჯას.

— ქვეშაგები გამიშალე, ქვეშაგები, დედაკაცო! დავითვერ, დავითვერი ეს ოხერი და! აბა ჩქარა, რაღას სტორტმანობ, რა ვქნა?! ეუბნებოდა დემეტრე ცოლს ბარბაცით.

— აქეთ, კაცო, აქეთ წამო, ემანდ ცეცხლში არ ჩაიბუგო. ეუბნებოდა ქმარს ცოლი და თან ლოგინს უშლიდა. დემეტრე მიწვა, ანუ უკედ რომ ვსთქვათ, მიეგდო ქვეშაგებზე და თან ამოიხვნეშა. მზეც დაწოლას, ძილს აპირობდა. ჰირი უკვე გაბა გორის ფსას.

III

დასაღამოხნდა... ლექსომ მალედვე ქათმებს საკენკი ჩაუტანა, აკენკა, მიუალერსა, დაბინავა, გომურის კარები დაკეტა, საცა რომ ჯუჯუტანები შედიოდა ჩალაბულით ამოქოლა და ეხლა ისიც თავის ლოგინში დედის გვერდით იწვა, მაგრამ როდი ეძინა ჩუმად ლოცულობდა, ღმერთს ევედრებოდა.

რას ლოცულობდა? რასა სთხოვდა ლექსო ღმერთს? აი რას: „ღმერთო, დაიხსენი ჩემი ქათმები ეოველი განსაცდელისაგან, რომ მელამ ტურამ ან მგელმა კბილი არსაიდგან გაჭკრას!

„ღმერთო, ნუ გააგებინებ ჩემ დედ-მამას საცა ქათმები მეავს დამალული.

„ღმერთო, ნულარ მოიეკან ჩვენსას კარაპეტას; ღმერთო, შენ გენაცვალე, თორემ ერთხელაც იქნება გაეინიანდება მამაჩემი და დაჭკლავს, ან ნაცარას, ან ქოჩორას, ან მამლაეინწას.

„ღმერთო, ნურც ჩემ ნათლიას—გიჟ-მათიას მოიეკან, ნურც მამასახლისს, რადგან იმათ მოსვლაზე მამაჩემი ქათმებსა ჭკლავს ხოლმე.

ამ ლოცვა-ვედრებაში ლექსოს ჩაეძინა. ცუდი სიზმარი ნახა: კარაპეტა ისევ უკან დაბრუნებულიეო. იმათ ეზოში იდგა თავის ცხენით ეელ-მოღერებული და დემეტრეს გასვლას ელოდა. მისი მამა დემეტრე სამასპინძლოდ ემზადებოდა და მაგდანას ვარიკას უკვეთდა. „არა, არა! ნუ, ნუ!“ დაიეკირა ლექსომ და წამოვარდა ქვეშაგებიდან.

მაგდანას ჯერ არ დაეძინა. შვილს ჰირ-ჯვარი გადასწერა, შეშინდა: „რამ შეგაშინა, გენაცვალე? ეუბნებოდა ლექსოს: „ღმეთი

სამას სამოცდა სამი წმინდა გიორგი არს შენთანა!“ ლექსო ისევ ბურანში იყო: დედამ ხელები მოჭიმა და მიაწვინა ქვეშაგებში.

ჯერ კარგად გათენებული არ იყო, დემეტრე ახალუსა ლოგინში წამოჯდა გაიჩმუჩნ-გამოიჩმუჩნა.

— დედაკაცო! დაუძახა ცოლს დემეტრემ.

— რა იყო, ადამიანო? მიუგო ცოლმა.

— ის იყო, რომ შენ ნახავ თუ ჩვენი მამლაყინწა მელამ ან ტურამ არ გაითრია! სთქვა დემეტრემ. წუხელ აღარ უყივლია.

— თუ ეყივლა მე ვიცი შენ ბევრს რასმე გაიგებდი. მგონი თორმეტი ზარბაზანიც რო დაეცალათ ვისმე იმის ხმასაც ვერ გაიგებდი ისე მაგრა გეძინა. მიუგო ცოლმა.

— ვნახოთ თუ არა, მე კი მითქვამ და ესლა შენ იცი. სთქვა დემეტრემ.

ცოლ-ქმარი რომ ამის განსჯაში იყვნენ, ლექსო უკვე გოშურში იყო თავის სამწყემსოსთან ერთად. ხელში ქუდით საკენკი ეჭირა და სთავაზობდა თავის საყვარელ ქათმებს მარცვლებს მარცვლებზე. ქათმებიც გარშემო ეხვეოდნენ და კაკანკრუშ-კრუშით დიდ მადლობას უხდიდნენ თავის ბატიკის მცემელს.

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამწუვდეული მერცხალი.

(ფრანგულით)

ერცხალი შემთხვევით მომწუვდეულიყო დარბაზში, რომელიც პატრონებს დაეცალათ: მსახურმა გულმოდგინეთ დარაზა ეველა ფანჯრები და კარი. საბრალო მერცხალი ოთახში მოემწუვდა.

ერთი თვის შემდეგ შევიდა იგივე მსახური დარბაზში, ტ სახტად დარჩა, როდესაც იქ ცოცხალი მერცხალი დახვდა, რომელიც აქეთ-იქით ეწუვეტებოდა. დაიწყო ფიქრი, თუ როგორ შესძლო სიცოცხლე მერცხალმა ამ დაკეტილს და ცარიელს ოთახში. გამოვიდა, მიხურა კარები და იქვე გაჩერდა ამ საიდუმლოების გასაგებად.

მისი ცნობის-მოყვარეობა მალე დაკმაყოფილდა: ფრინველის წრიპინზედ, რომელიც ქუჩიდან მოისმა, მერცხალი ერთს ფანჯარასთან მიფრინდა, ჩაებღაუჭა მინის კუთხეს, სადაც იმდენად იყო გამოტეხილი მინა, რომ ადვილად შეეძლო ნის-

კარტის გარეთ გაეოფა. დამწუვდეულს ხუთი-ექვსი მეტრსა-მიუასლოვდა რიგ-რიგით და საჭმელი მიჭქონდათ, როგორც თავის ბარტყებისთვის.

დ. დ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძაღლის სიცრუე

(თარგმანი რუსულიდან)

აკვირველი ამბავი შეემთხვა ერთ ისპა ნელი ქალის ჭკვიან და გაწრთვნილ ძაღლს დონს.

როდესაც ამ ქალს დასჭირდებოდა რისამე ყიდვა, თავის დონს მისცემდა კალათს ბარათით და გაგზავნიდა დუქანში.

თუ დაბარებულს მიუტანდა, გახარებული კუდის ქნევით დაუდგამდა კალათს წინ თავის პატრონს, და თუ ვერ იშოვნიდა, რამდენჯერმე დაჰყეფდა. იმას ნიშნავდა, რომ დუქნიდან არა გამოატანეს რა.

ერთხელ დონი გაჰგზავნეს კალათით კვერცხების სასყიდლად. შინ რომ ბრუნდებოდა კვერცხებიან კალათით, თვალი მოჰკრა წინ მიმავალ ძაღლს, რომლის ჯავრი სჭირდა და გადასწყვიტა, ესარგებლა ამ შემთხვევით. თავისი კალათი ფრთხილათ დასდო იქვე ქვა-ფენილზე ერთი სახლის წინ, რომელშიც სცხოვრობდა დონის პატრონის აძხანაგი ქალი და თვალს ადევნებდა ძაღლის მოქმედებას, და გამოუდგა უეფით. დაეწია, ეძგერა და დაუწყეს ერთმანეთს წიწკნა-გლეჯა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანამ ძაღლები ჩხუბობდნენ, ქალმა უბრძანა თავის მოსამსახურს კალათი კვერცხებით დონის პატრონისთვის წაეღო.

დონმა გულის ჯავრი იყარა, და გამობრუნდა კალათის წასაღებად გამარჯვებით გაამაყებული. მაგრამ, დახეთ უბედურებას, კალათი იქ არ დახვდა!

დავარდა სწორედ იმ ადგილზე, სადაც კალათი დასტოვა, და იწყო შეწუხებული ეძია, ისე რომ გამვლელ-გამომვლელთა ყურადღებასაც კი იქცევდა.

მერმე წამოვარდა, თითქო რაღაც მოაგონდა და მოჭკურცხლა ისევ შინისკენ. იქ თითონ პატრონმა უთვალთვალა:

შეიპარა უკანა კარებიდან ეზოში, მიიპარა ჩუმათ იმ ადგილზე სადაც ცარიელი კალათი ეგულებოდა, დაავლო პირი და იმ გზითვე უკან გაიპარა.

ბოლოს მოვიდა თავის ქალბატონთან სამზარეულოში ცარიელი კალათით, დაუდგა წინ და რამდენჯერმე დაჭეეფა.

დონის სიცრუვე რომ ჩვენს ენაზე გადმოვთარგმნოთ აი რას ნიშნავს: „უკაცრავად ქალბატონო, რომ ვერ მოგიტანეთ კვერცხები, რადგანაც დუქანში არა ჭქონდათ!“

მაგრამ უნდა გენახათ დონის დარცხვენა, როდესაც პატრონმა დასტუქსა და უჩვენა წინად გატანებული კალათი კვერცხებით!

ცხადია, ძაღლი მიხვდებოდა თავის შეცდომას.

ტასო ყიფიანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულადი კურდღელი

(ზღაპარი მამინ სიბირიაკისა)

ყველასი ეშინოდა კურდღელს, გული უფანცქალებდა. ხე შეინძრეოდა, ჩიტი გაიფთხრიალებდა, ან თოვლის გუნდი ჩამოვარდებოდა, ცასცასს დაიწყებდა საწყალი.

ყველასი ეშინოდა კურდღელს, მაგრამ რაკი გაიზარდა, მოსწყინდა მშიშარობა.

— არავისიც არ მეშინიან!—გაჰყვირა ტყეში კურდღელმა.— არავისიც არ მეშინიან მეთქი!

მოგროვდნენ კურდღლები და ყური დაუგდეს მკვეხარას, თუმცა-კი არა სჯეროდათ. როგორი იქნებოდა ისეთი კურ-დღელი, რომ არავისი არ შინებოდა.

— შენ ეი, ელამო, ბეცო, არც მგლისა გეშინიან?

— არც მგლისა მეშინიან, არც მელის და არც დათვის; არავისი არ მეშინიან!

ეს კი სასაცილო იყო. ახალგაზდა კურდღლები ხითხი-თებდნენ, მოხუცები კი მხოლოდ იღიმებოდნენ. რა სასაცილო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კურდღელია!... ოჰ, რა სასაცილოა!.. ყველა გამხიარულდა. ეირაზე გადადიოდნენ, სტოდნენ, ერთმანეთს სირბილში ეჯიბრებოდნენ, თითქო ჭკუაზე შეიშალნენო.

— არავისი არ ეშინიან! ხედავთ, რა მამაცია!

— ესლა რომ მგელი შემხვდეს, მე თვითონ შევჭამ...

— ოჰ, რა სულელი ხარ! რა სულელი ხარ!...

ყველა მას დასცინოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურდღლები მგელზედ ლაპარაკობდნენ ხმა ამაღლა. მგელიც მაშინვე იქ გაჩნდა.

იეიალა მგელმა ტყეში, მოშივდა და სთქვა:

„კარგი არ იქნება, რომ ეხლა საუზმედ კურდღელი მქონდეს!“ ამ დროს იქვე ახლო კურდღლების ეკირილი გაიგონა თითქო მასაც ახსენებდნენ, შეჩერდა, სუნი აიღო და იმაიკენ გასწია ჩუმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგელი კურდღლებს მიუახლოვდა და ეური მიუგდო. ჩვენს დასცინოდნენ და ყველაზე მეტად ჩვენი გულადი კურდღლის ხმა ისმოდა.

-- დამაცა, მე გაჩვენებ სეირს; შენ შეგჭამ სწორედ!—გაიფიქრა მგელმა და მკვესარა კურდღელს თვალიერება დაუწყო. კურდღლები ვერაფერს ხედავდნენ და ისევ მხიარულობდნენ. ბოლოს მკვესარა კურდღელი ჯირკვზედ შესწკუპდა და დაიწყო:

— ეური მიგდეთ, თქვე მხდალებო! ეური მიგდეთ და მიეურეთ. იმისთანა რასმე გიჩვენებთ. მე... მე... მე...

აქ კურდღელს ენა დაება; დაინახა მგელი, რომელიც მას უეურებდა. სხვები ვერ ხედავდნენ; ის კი ხედავდა, მაგრამ ხმა ვერ ამოელო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვეხარა კურდღელი ძაღლა შეხტა, მგლის ზურგზედ ფრრაძალა გადავარდა, ერთი კიდევ გადაეირავდა ჰაერში და მოჰკურცხლა.



დიდხანს ირბინა საწყალმა.

ასე ეგონა, მგელი უკან მოსდევს და ეს არის მწვდება კიდეცა.

ბოლოს ძალ-ღონე გამოლეულმა დაჰსუნჯა თვალები და ცოცხალმკვდარი ბუჩქში შეგორდა.

მგელი კიდევ სხვა მხარეს გარბოდა: კურდღელი რომ დაეცა, ასე ეგონა, თოფი მესროლესო და გაიქცა. „ცოტა კურდღლებია ტყეში... გაიფიქრა შეშინებულმა.

ძლივს მოვიდნენ გონს დანარჩენი კურდღლები. ზოგი ბუჩქში შევარდა, ზოგი ჯირკვს ამოეფარა, ზოგი კიდევ ორმოში ჩავარდა.

ბოლოს ნელ-ნელა გამოლაგდნენ.

— კარგად კი შეაშინა ის მგელი! — სთქვეს კურდღლებმა.— ის რომ არ ეოფილიეო, ცოცხლები ვერ დავახწევდით თავს... სად არის თვითონ? სად არის ის უშიშარი, ისა?...

დაუწყეს ძებნა.

იარეს, იარეს, მაგრამ გულადი ვერ იპოვნეს. სხვა მეტი ხომ არ შეჭამა? როგორც იყო იპოვნეს ცოცხალ-მკვდარი.

— ეჰაღ, ბეცო! — დაიყვირეს კურდღლებმა. — ბარაქალა!.. ძალიან შეაშინე მგელი მადლობელი ვართ! ჩვენ კი გვეგონა, ტეუილად იკვესისო!

გულად კურდღელს გული მიეცა. გამოძვრა საფარიდან, შეიბერტყა, თვალები მოსუჭა და წაილაპარაკა:

— მე და კვესნა დავიწეო?! აი, თქვე მსდალებო!..

ის დღე იყო და ის: ასე ეგონა კურდღელს, — არავისი არ მეშინიანო.

დიმ. დეკანოზიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალისო საუბარი და გასართობი

ფარადა

(წარმოდგ. თეოფ, კანშელაკის-მიერ.)

ჰირველი სიტყვით შენსა თავს
ისსენებ საუბარშია;
მეორეს ბოლოს გამოსთქვამ
ქართველი კაცის გვარშია;
მესამე — იარაღია:
ხელსა ვკიდებთ გრძელ ტარშია;
მთელი კი — ჰირუტყვი არის,
ნადირობს მთა და ბარშია.

გამოცანები

ერთი რამ არის,
ზეცაში იცის;
ზამთარს და ზაფხულს
უცვლელად იწვის.

—

ფრთები არა აქვს, დაფრინავს
უჩინრად ეოველგანაო,
ზეცას არწივნი ფრთხებიან,
გარბიან იმისგანაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახუმარო ამოცანები

რომელი და რომელი ასო უნდა შევაერთოთ, რომ გამოვიდეს ჩვენი წინაპრის სახელი?

—

რომელი ასო უნდა მოვუწეროთ რომელ რიცხვს, რომ გამოვიდეს ძლიერი მსაჯულის სახელი?

—

შვიდ უჯრაში ჩასხით ათი ჩიტი, თითოში-თითოს მეტი კი არ იყოს.

უჯრების ამოცანა

1)

ე	ა	ნ
ა	ნ	ი
რ	რ	ი

2)

უ	უ	ო	ე
ო	ე	დ	
ბ	ლ		
დ			

გადას-გადმოსხით ასოები უჯრებში, რომ გამოვიდეს ერთი და იგივე სიტყვები როგორადაც სწორედ წაკითხვით, ისე ზევიდან ქვევით.

ახსნა

მეცხრამეტე ნომერში მოთავსებული შარადა—გამოცანას ახსნა: (ბოლი).

მეოცე ნომერში მოთავსებულ შარადას ახსნა: (იაპონია).

გამომცემელი კნ. ნ. ე. ქობულაშვილისა.

რედაქტორები { კნ. ე. ერისთავისა. ნ. ზურაბიშვილისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა